წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი 17 თებერვალი 1916 წ. | № 37

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე [illegible] ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი | პირველი წელი

**„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა**

## კაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოები ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

## „ახალი კლუბი“

**ერთი კვირის პროგრამა 15—21 თებრვლამდე 1916 წ.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—კონცერტი იტალიანურ ოპერის მომღერალ ქალისა **კარ მენ სოლიარისა** და საიმპერატორო ოპერის ყოფილ არტისტისა **ბერნანდისა.** კონცერტი უფასოა.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—დღისით ლექცია ქართულ კულტურულ საზოგადოებისა. საღამოს სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—კონცერტი ახალგაზრდა მომღერალისა **ვარდენ ლორთქიფანიძისა** კონცერტი უფასოა
**კვირა**—სამხედრო ორკესტრი
**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1—05 კ.,
(6—57—3)

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

## სასტუმრო „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.**
**უაღრესი სიფაქიზე.** ელექტრონის განათება
**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**
## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „**ნაკადული**“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**კბილის ექიმი**
## ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

## „ახალი კლუბი“

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება**
**პარასკევს,** 1916 **წ.** 19 **თებერვალს** „ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში
## კ. ი. დოდაშვილი
**წაიკითხავს**
## ლექციას
**მოშაირე მესტვირეები**
## ძველ საქართველოში
„ვეფხის ტყაოსნის“ კითხვის დემონსტრაციით მე-12 და მე-13 საუკუნეში.

**1 განყოფილება.**
სიმღერა-გალობა, მუსიკა და ცეკვა **ძველ საქართველოში.** გალობა მელოდიური და რეჩიტატიული. მუსიკა და სხვა საკრავები. კერპთ-თაყვანის მცემლობის ხანა. ცეკვა და მისი მრავალგვარობა. პლასტიკა. მოგზაური მოშაირე-მესტვირეები და მათი ყოფა-ცხოვრება. შაირი უხსოვარ დროიდან მოგონილი წყობილება ლექსისა, ერთ-ერთი სახე ტონური ლექსწყობისა. ქართული ლექსწყობა.

**2 განყოფილება.**
სახალხო პოეზია სასულიერო მწერლობა. მოგზაური მესტვირე ძაგნაკორელი დაარსება საერო ხელოვნური პოეზიისა მე-11-ე საუკუნის დასაწყისში. დავით ალმაშენებლის ხანა. ჩახრუხა-რუსთაველი და სხვა. ვინ იყო შოთა? რა გვარი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მისი. როგორ კითხულობდენ „ვეფხის ტყაოსანს“ მე-13-ე და მე-17-ე საუკუნეში.

**3 განყოფილება-**
მეორე განყოფილებაში სიმფონიური ორკესტრი ბ. ლექტორის ლოტბარობით შეასრულებს კ. დოდაშვილის მიერ დაწერილს მე-XII და მე-XIII საუკუნეების ქართველ მუსიკის ნიმუშებს. მომღერალი ორკესტრთან და სტვირთან ერთად წაიკითხავს (მელოდეკლამაცია) ლექსებს ხალხურ პოეზიისა და „ვეფხის ტყაოსნიდან. დასასრულ გაიმართება კამათი ბ. **რობაქიძის, იოს. მაჭავარიანის და სხვათა მონაწილეთა** წაკითხულ ლექციის გამო.
**ადგილების ფასი** 2 მ. 30 **კაპეიკამდე**
**დასაწყისი სწორედ ნაშუადღევის** $12^1/_2$ **საათზე.**
ბილეთები იყიდება ყოველ დღე ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (3—58—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

16 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-დასავლეთით მდ. დუცეს შესართავთან და ილლუქსტის მახლობლად ძლიერი საარტილერიო სროლაა. ტყვიის მფრქვეველები და თოფები შეუჩერებლივ ხმაურობენ. გალიციაში, შუა სტრიპზე, ბუჩაჩის ჩრდილოეთით მტრის იერიში მოგერებულ იქმნა რუსთა მიერ.**

**კავკასიის ასპარეზი. რუსები მტრის დევნას განაგრძნობენ.**

— —

**პარიზი,** 15 თებერვალი. დღისით მოსული ოფიციალი ცნობა. ბელგეთში ჩვენი ბატარეები ანგრევენ მტრის საველე სიმაგრეებს. შამპანში ნავარენის ფერმის რაიონში, სუენის ჩრდილოეთით, მტერმა მოულოდნელი თავდასხმით ხელთ ჩაიგდო თხრილების ერთი წყება და ფეხის მოსამაგრებელი პუნქტი. ვერდენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლას ინტენსიური ხასიათი არ მოჰკლებია, განსაკუთრებით ცენტრალ სექტორში და ჩრდილოეთით მარჯვენა ფრთის მიმართულებით. პუავრეს მაღლობის ხელში ჩასაგდებად გერმანელებს აღარ განუახლებიათ იერიშები. გუშინ საღამოთი გერმანელები რამდენჯერმე შეეცადნენ სოფ. დიყამოლის აღებას, მაგრამ ფრანგებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და მათი გაафთრებული იერიშები მარჯვედ მოიგერეს. სოფ. ვოს ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია. ვევრში გუშინ და მთელი ღამის განმავლობაში გერმანელებმა დაიწყეს მკვირცხლი მოქმედება. ამასთანავე რკინის გზის სადგური ხელიდან ხელში გადადიოდა, საბოლოოდ იგი ჩვენს ხელში დარჩ. ყოველი ცდა, რომ „255“ მაღლობი ჩაეგდოთ ხელში, გერმანელებისთვის ამაოდ დარჩა.

ჩვენი არტილერია მთელს ფრონტის გასწვრივ ენერგიულად უპასუხებს მტრისას. ვოგეზებში რამდენიმე ადგილას ზარბაზანი ვესროლეთ.

**ლონდონი,** 13 თებერვალი. დაიღუპა გემი „მალოი“, ზედ 411 მგზავრი იყო. გადაარჩინეს 250 კაცამდე, დანარჩენნი დაიღუპნენ. გემი დაიღუპა დუვრიდან ორს მილზე. ნაღმმა ისე ძლიერ იფეთქა, რომ ქალაქმა ზანზარი დაიწყო. მისაშველებლად გამოქანდა მეორე გემი „ემპრესოფირე ბილიამი“, მაგრამ თვითვე წააწყდა ნაღმს და 30 წუთში დაიღუპა. ამისი ეკიპაჟი გადარჩა. ყველანი ნაპირზე გადაიყვანეს.

**სოლუნი,** 14 თებერ. ფრანგთა ქვეითი ჯარები მოჰყავთ. გუშინ იაპონელი საზღვაო აგენტი მოვიდა და სოლუნის სიმაგრენი დაათვალიერა. იგი გენერალ სასაილისაგან იქმნა მიღებული.

**პარიზი,** 14 თებერ. საღამოთი მოსული ოფიციალური ცნობა. სუასონისა და რეიმსის შუა ჩვენი არტილერია უშენდა მტრის საველე სიმაგრეებს. ვერდენის ჩრდილოეთით მკაცრი ბრძოლის შემდეგ საარტილერიო ბრძოლას ოდნავი შენელება დაეტყო. სამაგიეროდ დუმონისა და სოფ. ვოს შუა გერმანელები ძლიერი იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. დუმნის აღმოსავლეთით და დასავლეთით. მთელი ფერდობები მოფენილია გერმანელი გვამებით. ის ნაწილი, რომელიც ჩვენში შემოიჭრა, ჩვენს ცეცხლში გაეხვია, ჩვენც ნელი-ნელ რკალისავით ვერტყმით. უკანასკნელ ცნობების მიხედვით საარტილერიო სროლის გამო ტალუს მწვერვალი არავის ხელში არ არის, ვერც ჩვენ მოგვიკიდნია ფეხი და ვერც გერმანელებს. ყოველგან გერმანელები ჩვენს მოწინავე თხრილებს მოადგნენ, მებრძოლნი პირისპირ უცქერიან. გერმანელებმა „255“ მაღლობთან იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ვოგეზებში საარტილერიო სროლაა. ბერდოდან გავფანტეთ წინ წამოსული მათი რაზმები.

**ჭავრი,** 14 თებერ. მთელს ფრონტზე სრული სიწყნარეა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ვერდენის ოპერაცია.**

გერმანელთა გეგმა ვერდენის ასაღებად შეუმუშავებია ფრიად მოხუცებულს ფელდმარშალს გესელერს, რომელიც 1870 წ. დიდ მოლტკეს თანამშრომლად ითვლებოდა. გეგმას ასრულებს კრონპრინცი გენერალ დეიმლინგის ხელმძღვანელობით. ეს გენერალი კრონპრინცის სამხედრო მეცნიერების მასწავლებელია. „Berl. Tag.“-ის ცნობილი სამხედრო მიმომხილველი მორატი სწერს: „ახლა მივდივართ ძველის გზით ვერდენის მხარით, რომელიც პირდაპირ პარიზში შეგვიყვანს“. ფრანგული პრესა მდგომარეობას სერიოზულად სთვლის, თუმცა დასძენს, ნუ ავღელდებით, საქმის მსვლელობას ცივად შევხვდეთო. ფრანგებმა უკან დაიხიეს, რათა მარცხენა ფრთისთვის საშუალება მიეცათ უფრო მკვიდრი პოზიციები დაეჭირათ. ეს გამარჯვება მეტად ძვირად იყიდეს გერმანელებმა.

მარტო დახოცილი, როგორც ამბობენ, 25 ათას კაცს უდრის. გერმანელებს მოუტანიათ აუარებელი 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები. ჯარებს ნაბრძანები აქვთ რადაც უნდა დაჯდეს ვერდენი უნდა აიღოთო. ბერლინის ჟურნალ-გაზეთობა იუწყება, ვერდენთან ბრძოლა უმაგალითო ხასიათს იღებს. თვის სიმკაცრით და სისხლის ღვრით ისტორიაში მსგავს მაგალითს არა ჰხედავსო.

**დიდი ამბების მოლოდინში.**

ლონდონიდან ცნობები მოდის „Dail. Teleg“-ის მიმომხილველნი დაბეჯითებით ირწმუნებიან, მარტში უდიდესი ამბები მოხდება, რითაც, შესაძლებელია, ბოლო მოეღოს ამ ომსაო. ყოველ შემთხვევაში, რაც მოხდება ამ მარტის თვეში, იგი ყოველ წინა ამბებს აღემატება თვისი მნიშვნელობით, ერთიანად დასჩრდილავენ, რაც კი დღემდის მომხდარაო. იგივე გაზეთი ამბობს, თუ ვინიცობაა გერმანელებმა ვერდენით ვერ გაარღვიეს ფრონტი, მაშინ შვეიცარიით შეესევიან საფრანგეთს და გულის წადილს ასე აისრულებენო.

**ცენტრალ სახელმწიფოთა ჯარების რაოდენობა.**

ფრანგთა სამხედრო სამინისტროს ანგარიშით ავსტრია-გერმანელთა ჯარები ყველა ფრონტზე უდრის 2,200,000 კაცს. ამ ჟამს შეუძლიანთ დაუმატონ კიდევ 1,600,000 კაცი. ბრძოლის ველზე დაბრუნდება 400,000 კაცი. ახლად გაწვეული ჯარისკაცები 1917 და 1918 წ. წ. უნდა ვიანგარიშოთ 450 ათასი კაცი და ლანდშტურმისტები—750,000 კაცი.

**სალონიკის გარშემო.**

სამხედრო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სალონიკის ოპერაციის დასაწყობად მთელს რაიონში 420 ათასმა კაცმა მოიყარა თავი ფრანგებისა და ინგლისელების მხრით. თან მოუტანიათ აუარებელი ზარბაზნები და ტყვია-წამალი.

**გერმანელებისა და ოსმალების პროპაგანდა შვეიცარიაში.**

„Trib. de Gen.“-ი ამბობს: შვეიცარიაში ამ ჟამად 600 ოსმალო ეგვიპტელი იმყოფება. ესენი გერმანეთის სასარგებლოდ მთელს ევროპაში ეწევიან პროპაგანდას. მათი მთავარი მიზანია სამაჰმადიანო ქვეყნის აჯანყება. მათ მთელი შვეიცარია აავსეს ასეთი ბროშიერებით: „ისლამი ფრანგთა არმიაში“, „ინგლისელთა სიმკაცრე“. საზოგადოდ დიდი მოქმედებაა მოკავშირეთა სახელის გასატეხად, ხოლო გერმანელთა სახელის გასაზვიადებლად.

## ბრძოლის ველზე

საფრანგეთში გერმანელებსა დ ფრანგებ შორის ბრძოლა საშინლად გამწვავდა, განსაკუთრებით ვერდენის არემარეში. უკანასკნელი ოფიციალი ცნობების მიხედვით, ვერდენის ჩრდილო რაიონში უკანასკნელი დღეების შეუწყვეტელი მძაფრი ბრძოლის შემდეგ, სამხედრო მოქმედება განელდა, გარდა დუამონისა და სოფელ ვოს შორის, სადაც წინანდელი სიმკაცრე არ დამცხრალა. დუმონის ზეგონი სულ მოფენილია დახოცილ გერმანელთა გვამებით. ფრანგები აქ რკალივით შემოერტყენ გერმანელთა რაზმებს. ტალუს სიმაღლე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ორივე მხარემ დასტოვა დიდი ხნის ზარბაზნის სროლის შემდეგ. ვერდენის ჩრდილო ხაზზე, გერმანელები თითქმის ყოველგან მივიდნენ პოზიციამდე.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე საარტილერიო სროლაა ფრიდრიხშტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გალიციასა და ბუკოვინაში რუსებმა მოიგერიეს გერმანელ-ავსტრიელთა იერიშები. კავკასიაში რუსები მისდევენ ოსმალებს.

**მეგრი.**

## თბილისი, 17 თებერვალი

**აფხაზეთი და ჩვენი საზოგადოება.**

ერთ ფერხულში იყო ჩაბმული საქართველო და აფხაზეთი. ერთი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით ცხოვრებდენ საუკუნეთა განმავლობაში. ერთი ქართული კულტურა განამტკიცებდა მათ განუყრელ კავშირს. საქართველოს ისტორია უაფხაზეთოდ სრული და დამთავრებული არ იქნება. აფხაზეთი უსაქართველოდ წარმოუდგენელია. საერთო წარსულმა შექმნა საქართველოსი და აფხაზეთის ერთი სული და მისწრაფება, და ეს ორი მხარე ერთი მეორის აუცილებელ ორგანიულ ნაწილებად გადააქცია. და რომ არ შეწყვეტილიყო ამ მხარეთა დამოუკიდებელი პოლიტიკური და კულტურული თანამგზავრობა დღეს საქართველო და აფხაზეთი ერთი განუკვეთელი ეროვნულ-პოლიტიკური ერთეული იქმნებოდა. მაგრამ ჟამის დაუნდობლობამ ეს არ ინება. საქართველოს უბედურება და შავი დღე აფხაზეთის უბედურებად და შავ დღედ გადაიქცა. დადგა ხანა, როდესაც ამ ორი თანშეზრდილი თანამგზავრის ერთად სიარული შეუძლებელი შეიქმნა. შუაში შემოიჭრა ახალი ძალა, რომელიც მარჯვნით და მარცხნით უშენდა, არც ერთს ინდობდა, არც მეორეს. ეს ძალა დაინტერესებული იყო, რომ ერთმანეთისთვის ჩამოეშორებინა ღვიძლი ძმები. თვითოეულის ცალ-ცალკე დაძაბუნება და დამორჩილება მიზნად დაისახა ამ ახალმა ძალამ.

მის მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია. ერთმანეთს თანდათან შორდებოდა ორი ორგანიული ნაწილი ერთის ეროვნულის ტანისა. ეს არ იყო გასაკვირი, ვინაიდგან სასიკვდილოდ იყო დაშავებული შინაგანი კავშირი, რომელიც ერს სულს უდგამს. საქართველოს კუთხეები ერთმანეთს შორდება, ერთმანეთს **ეროვნულად** შორდებოდა ქართველი საზოგადოების წევრები. საერთოდ ეროვნული დაშლა და დაქსაქსულობა ჩამოვარდა. უფრო მეტის ძლიერებით მუშაობდა ეს დამრღვევი ძალა და დასაბამი საქართველოსა და აფხაზეთის გასათიშავად. მაგრამ მაშინ, როდესაც სხვის ძალით გამოყოფილ საქართველოში ცხოველ-მყოფელი სული დაუმარცხებელი რჩებოდა და გამანადგურებელი, დამრღვევი ძალის გვერდით, ერის აღმაშენებელი და შემომქმედი სული მუშაობდა და მომავლისათვის ენერგიას აგუბებდა,—ჩამოჭრილი აფხაზეთი თვითყოფობის დაცვას ვერ ახერხებდა; იგი ვერ უმკლავდებოდა უცხო გადამგვარებელ პოლიტიკას და მთელი მხარე სწრაფ გადაგვარებას მიეცა. შესუსტდა ორგანიული კავშირი საქართველოსა და აფხაზეთს შორის და ამ კავშირის შესუსტებამ მეტი ზიანი და ვნება აფხაზეთს მოუტანა. დღეს, შეგნების ამ ახალ ხანაში ქართველი საზოგადოება, როგორც უფრო შეგნებული და დაწინაურებული, ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აფხაზთა მხარეს და შეეცადოს მთელის თავის ძალღონით აღადგინოს სხვათაგან ჩამტვრეული ხიდი და განამტკიცოს ძველი კავშირი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გაიჭედა და რომელიც უკანასკნელმა ათეულმა წლებმა შეასუსტეს.

ყოველი ერის ცხოვრებაშია არაჩვეულებრივი ხანა, ხანა ჯანგაუტეხელი მუშაობისა, მტკიცე შენობისა და მრავალი მსხვერპლის შეწირვისა, ხანა ეროვნული ცხოვრების გამობრუნების, აღდგენის, განმტკიცების! ჩვენმა ქვეყანამ ამ ხანაში ფეხი შედგა. ქართველი მოწინავე საზოგადოება უნდა ერთნაირის სიმხნევით, სიფხიზლით და თავგამოდებით უთვალყურებდეს ყველაფერს, მუშაობდეს შინ და გარედ, ცენტრში თუ განაპირში. აფხაზეთი ერთი ძლიერ დაშავებული განაპირა საქართველოა. ქართველმა საზოგადოებამ აფხაზეთი საზრუნავ საგნად უნდა გაიხადოს და ამდენი ხნის ძალა-უნებური უმოქმედობა შესცვალოს მიზანშეწონილ საქმიანობაზედ, აფხაზეთისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

## დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**საზღვარ გარეთების ცნობით გერმანელებს ახლად გაკეთებულ ჯავშნიან გემებზე 17 დიუმიანი ზარბაზნები დაუდგავთ.**

—

**იტალიის გამოჩენილი მწერალი გაბრიელ დ ანუნციო ჰაეროპლანიდან ზვერის დროს მარჯვენა თვალში დაიჭრა.**

—

**სტამბოლში სპარსეთის კონსულს განუცხადებია: მას შემდეგ რაც რუსეთის ჯარმა აზრუმი აიღო, ოსმალებმა ეგვიპტისკენ გალაშქრება გადასდეს და თავიანთი ჯარი მცირე აზიისკენ გადმოჰყავთო.**

—

**ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა გააფართოვოს სახელმწიფო ბანკის უფლება, გამოსცეს საკრედიტო ბილეთები (ქაღალდის ფული) არა თუ მარტო ლითონის ფულის პასუხის მგებლობით, არამედ ხაზინის თამასუქებითაც.**

—

**პოლონეთის სამი კუთხის (ავსტრიისა, გერმანეთისა და რუსეთისა) წარმომადგენელთა ყრილობა მოხდა ვარშავაში.**

—

**იმ დროს, როდესაც გერმანელები ასე გამალებით ემზადებიან ვერდენისკენ გასალაშქრებლად, ამავე დროს აღმოსავლეთ ფრონტისკენ მატარებლებით განუწყვეტლივ მოდის გერმანელთა ჯარი. გერმანეთში მყოფ სათადარიგო ჯარსაც ჩრდილო-აღმოსავლეთით მიერეკებიან. რაც გალიციასა და ბუკოვინის მხარეს ჯარი ჰყავდათ, მას კიდევ სხვა ჯარსაც უმატებენ. ბალკანეთიდან ჯარი რუსეთის ფრონტსა და დვინისკენ გადაჰყავთ. როგორც ირწმუნებიან ჰინდენბურგი და მაკენზენი ჯარს კვლავ რუსეთის ფრონტზე ხელმძღვანელობენო.**

## ახალი ამბავი

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** საჯარო კრება გაიმართება ხუთშაბათს, თებერვლის 18-ს, ექიმთა საზოგაოების დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთ. შენობაში), საღამოს სწორედ 8 საათზე. შ. ქარუმიძე წაიკითხავს მოხსენებას „ეროვნული აღზრდა“. შემდეგ გაიმართება კამათი. დასწრება ყველას შეუძლიან. შემდეგ კრებაზე პ. მირიანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ილია და აკაკი ნუ თუ მართლა მდაბიური ენის შემოქმედნი იყვნენ?“. მოხსენების დღე გაზეთებში იქნება გამოცხადებული. საზოგადოების წლიური კრება გაიმართება კვირას, თებერვლის 28-ს ახალ კლუბის დარბაზში, შუადღის 12 ნახ. საათზე.

✦ **ქალაქის საბჭოს ხმოსანი თავ. ვაჩნაძე,** რომელიც მოსკოვში იყო გაგზავნილი ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლების კრებაზე მონაწილეობის მისაღებად, უკვე თბილისში დაბრუნდა. მოსკოვის კრებამ განიხილა და გამოარკვია, რა გააკეთა დღემდის სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციებმა, რა უშლიდა ხელს საქმის უკეთ მოწყობას და შემდეგში როგორ უნდა გაუმჯობესდეს სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციების მუშაობა.

✦ **სალამი—მოლოცვა.** წერა-კითხვის საზოგად. გამგეობამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: აღფრთოვანებულ სალამს გიძღვნით ცივ ციმბირიდან და ულოცავთ იუბილიარს შიოს.

✦ დღეს, 17 თებერვალს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „გამცემი“ დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა. კლუბში შესვლა უფასოა.

✦ **საგანგებო თათბირი.** ხვალ, 18 ამა თვეს, ქალაქის გამგეობაში საგანგებო თათბირი მოხდება პროფესორ კაპუსტინის მონაწილეობით. კრებას საგნად აქვს შეიმუშაოს წესები მალნეულობის მოვლის შესახებ.

✦ **ტრამვაის შემოსავალ-გასავალი.** მიმდინარე წლის იანვრის განმავლობაში ტრამვაის შეუტანია ქალაქის კასაში 199,606 მან., დახარჯულა იმავე ხნის განმავლობაში 194,050 მან., წმიდა შემოსავალი დარჩენილა 5,556 მანეთი.

✦ **დადგენილების წარდგენა.** გუშინ ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილებანი 1) შესახებ ბინების ქირის მოწესრიგებისა და 2) მადათოვის კუნძულის შეზღუდვისა წყალდიდობის წინააღმდეგ.

✦ **შაქარი და მაზუთი.** ქალაქში შაქარი არ მოიპოვება; აგრეთვე მაზუთიც არ არის და თუ საქმეს რაიმე არ უშველეს, გარდა იმისა, რომ ყველა ქარხნები იძულებული იქნება მუშაობა შესწყვიტოს, ელექტრონის სადგურებიც ვერ იმუშავებს და ქალაქს წყვდიადი მოიცავს. გაჭირვება იმით უფრო რთულდება, რომ ახლო ხანად მიღებაც არსაიდან შეიძლება აღნიშნულ საქონლისა. გუშინ, 16 თებერვალს, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი გუბერნატორთან და სასურსათო საქმეთა უფროსთან, ბ-ნ შაშკოვსკისთან, იყვნენ დი შუამდგომლობა სთხოვეს საინტენდანტოს წინაშე, რომ ქალაქს ხელი გაუმართოს და ასესხოს შაქარი და მაზუთი.

✦ **ბაჟის გაუქმება.** გუშინ, 16 თებერვალს, დღის 11 საათიდან, თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ბაჟი გაუქმდა ვერისა და მნაცაკანოვის ხიდებზე.

✦ **სასურსათო საკითხი.** 15 ამ თვეს ქალაქის საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება სურსათ-სანოვაგის შესახებ. მოხსენების შინაარსი ფრიად დამაფიქრებელია თბილისის ყველა მცხოვრებთათვის, მით უფრო, რომ სურსათის მოსაზიდ ვაგონების რიცხვი ერთი მესამედით შეუმცირებიათ თბილისათვის. საბჭომ დაადგინა დაავალოს ქალაქის მოურავს წარუდგეს მეფის ნაცვალს და საქმის ვითარება მოახსენოს, რათა შესაფერისი ფიცხელი განკარგულება გამოიცეს საკვების მოსატანად და ამ რიგად მცხოვრებთ ააშორონ მოსალოდნელი განსაცდელი შიმშილობის მხრივ, ხატისოვი გუშინ საღამოს 5 საათზე წარუდგა მეფის ნაცვალს.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსი.** ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა სავსებით განიხილა ქალაქის საბჭომ. ბალანსი ხარჯთ-აღრიცხვისა უდრის 4.635.997 მან. 98 კაპ.

✦ **ჯარისკაცთა ოჯახების დახმარება.** [illegible] გამო უბნების მზრუნველებს გადაეცათ 5.000 მანეთი ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დასარიგებლად. ხუთშაბათს, 18 ამ თვეს, განსაკუთრებული თათბირი მოხდება შესახებ იმისა, რომ ჯარისკაცთა ოჯახებს თვიური ულუფის ფული 4 მან. 50 კაპეიკიდან 5 მანეთამდე გაუდიდდეთ.

✦ **ქუთაისსა და ქუთაისის** გუბერნიაში კომერციული ცოდნის გამავრცელებელი ქუთათურ ვაჭართა საზოგადოების კომიტეტი და ქუთაისის 8—კლასიანი კომერციული სასწავლებლის მზრუნველი საბჭო საზოგადო საკრებულოს დარბაზში, ხუთშაბათს, 18 თებერვალს ჰმართავს საღამოს, სასწავლებლის საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამოს გამგე მ. ი. გოკიელისა. შეწირულების გადაცემა შემდეგი ადრესით შეიძლება: ქუთაისი, მარიამ იაკობის ასულს გოკიელისას (თბილისის ქ., საკუთარი სახ.

✦ **სურსათი.** 15 თებერვალს შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 18 ვაგ., ქერი 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 2 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ქატო 15 ვაგ., შეშა 11 ვაგ.

✦ რედაქციამ მიიღო ლექსი პროზად ნინო ყიფიანის „სიზმარი“ გამოცემა ი. გრიშაშვილისა. წიგნაკი მშვენივრად არის გამოცემული და ღირს 10 კ.

✦ **თოვლი** ისევ მოდის თბილისში და ტელეფონის მუშაობა ბრკოლდება. თოვლმა ბევრგან წააქცია ტელეფონის ბოძები და 200 აბონენტს ტელეფონის მავთული გაუფუჭა. ტელეფონის შეკეთებას გარდა ცუდი ამინდისა ისიც ხელს უშლის, რომ მუშები არ იშოვებიან, ხოლო გადმოხვეწილნი მუშაობაზე არ თანხმდებიან. ჩვეულებრივ დღიური მუშის ქირა ექვსი აბაზია, კვირას-კი, 14 ამა თვეს, გადმოხვეწილებს ორ-ორი მანეთი აძლიეს, მაგრამ სულ 5—6 კაცმა განაცხადა სურვილი მუშაობისა.

**სოფ. ავლევი.**

საამხანაგო ბანკის საშუალებით დაარსდა ავლევის სამეურნეო ამხანაგობა და მასთანვე კოოპერატიული პირველ საჭიროებათა საგნებისათვის სავაჭრო სახლი, თანხა უკვე რვაას მანეთამდის შედგა. წევრნი—156 კაცი, მათ შორის 140 გლეხია, დანარჩენი თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია.

**ზემო გომი.**

დაარსდა კოოპერატიული თორნე, წევრად ჩაეწერა 27 კაცი, 19 იანვარს დაიწყო მოქმედება, საუკეთესო ღირსების პური ცხვება, გირვანქა 7 კაპ. დაწყებიდანვე საქმე გვარიანად მიდის და ფიქრობენ ფასის დაკლებას, გირვანქა ექვს კაპეიკად უნდა გაყიდონ.

**შეცდომის გასწორება**

**დ. კახელის** გუშინდელ წერილში შეცდომა შეპარულა: წერილის მეორე მუხლში მე-5 სტრიქონზე დაბეჭდილია: **რა** სოციალისტური სულისა. უნდა იყოს: **არა** სოციალისტური სულისა...

## სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 31)

ქართველი ერი უხსოვარ დროიდან მიწის მუშა იყო. მიწა და მარჯვენა ასაზრდოებდა მას. ამისათვის ქართველმა ხალხმა მიწას „დედა“ უწოდა, ე. ი. მიწას მიაწერა ისეთი თვისებები და ღირსება, რომელიც შეადგენს ადამიანისთვის უძვირფასესი და უსაყვარლესი არსების—დედის თვისებას. მიწის მუშაობამ და მისმა სიძვირემ გლეხი დაუმეგობრა, დაუამხანაგა პირუტყვსაც, კერძოდ ხარს, რომელთან ერთად ის საუკუნოებით სწევს მძიმე ჭაპანს. გლეხს უყვარს თავის ამხანაგი—ადამიანურის, ამხანაგურის სიყვარულით. პატიოსანს და ქედნაკურთხს ხარს ის უვლის, პატრონობს, თვალის ჩინივით უფთხილდება. „ჩვენი ღონე საქონელია,—მსჯელობს ქართველი გლეხი, თუ პირუტყვი გვერდით არ ამოიყენე, ერთ მანყულად არ ეღირება კაცი. ძმა ხომ ძმა არის და შვილი შვილი, მაგრამ კაი ხარ-კამეჩიც ძმა და შვილია. ძმამ იქნებ ისე არ გასიამოვნოს, როგორც კაი გაწყობილმა ხარ-კამეჩმა“ („მთიული სოსე“, გვ. 16). ცხადია, რომ ქართველი გლეხის პირუტყვისათვის ზრუნვა პირად სარგებლობის მოსაზრებაზეა აღმოცენებული, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ეს ზრუნვა გაპატიოსნებულია სხვა უფრო მაღალის კატეგორიის გრძნობით—სიყვარულით.

გაიხსენეთ, ილიას გლეხის „ლაბასადმი“ გრძნობა-სიყვარული, რაფ. ერისთვის გლეხის მწარე მოთქმა ხარის სიკვდილის გამო; შიო არაგვისპირელის—„ჩემო შვინდავ“, ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ და სხვა. ჩვენი მწერლები გრძნობენ ქართველ ერის პირუტყვისადმი განსაკუთრებულს, თითქმის უმაგალითო,—სიბრალულს და სიყვარულს და შესანიშნავის ხელოვნებით აღგვიწერენ ამ კეთილშობილურ გრძნობის გამოთქმას.

ს. მგალობლიშვილსაც შეუნიშნავს ეს სიმპატიური თვისება ქართველი ხალხისა. მთელი სულიერი ტრაღედია დ მერე შემაძრწუნებელი შურის ძიება საწყალი სესეს მოთხრობაში „მთიული სესე“ პირუტყვისადმი სიყვარულზეა აღმოცენებული. ვალაპარაკოთ თვით გმირი. „ნეტავი ჩემი სიცოცხლეც თან წაეღოთ და ის ჩემი ყორანა ზაქი-კი ჩემს არე-მარეზე დაეტოვებინათ (ბატონს და მოურავს). ჩემი ძმა იყო ყორანა, ჩემი! ჩემი მაცხოვრებელი, ჩემი მარჯვენა ის იყო; ჩემი ყველაფერი ჩემი ყორანა იყო. ლუკმით გავზარდე, ერბოთი ვზელდი. საღამოზე რო მოვიდოდა კუდის წმაწვნითა, ყურებ გაცქვეტილი, გამალხაზებული, და დამინახავდა, ერთს ისეთ ნაირად დამყროყინებდა, რო გული ფუნდრუკს დამიწყებდა ხოლმე. რა ნაირად მომეალერსებოდა, ამლოკდა, ვარდა კუდს ჩაიწმაწნიდა, ნაზად მებუჩავებოდა ხოლმე!! დავდნი, დავდნი კაცი აღარა ვარ... გუშინ ვიყავი ბატონთან, დაუჩოქე, ფეხქვეშ დაუვარდი; სიკვდილამდის მიმსახურე, რასაც ბრალსა მადებთ და რისთვისაც ჩემი ყორანა გამომიგდეთ მეთქი ბაკიდამა, ერთი ათად დამაჭდიეთ კისერზედ მეთქი; რკინის ჯოხს დავიჭერ შენი ჭირიმე მეთქი, რკინის ქალამანს ჩავიცვამ და რითაც იქნება თქვენს ვალს მოგართმევთ მეთქი... გულ-ქვა კაცი რო იქნება, ის არის!.. ნეტა არ მოვსულიყავ, ნეტა!.. იქ ჩემი ყორანა ვნახე. რო დამინახა შემომყროყინა, გამოქანდა და კისერი მხარზე გადამაგდო, თვალი ამღვრეოდა და თვალის კაკალზე ცრემლი ეკიდა. მოვეხვიე, დავკოცნე და გიჟივით გამოვიჭერ... ჰო, ღმერთო და წმინდა გიორგი!.. რის მოვაგლახე ვიყავ, რისთვის ვიწვი-ვიდაგეთ დედა და შვილი. მე უნდა გადაუხადო ქიტესა მოურავსა“. („მეველე სოსე“, გვ. 9—10). ეს რომ ნამდვილი მგზნებარე ჰიმნია ადამიანის სიყვარულის პირუტყვისადმი! ეს სიყვარული, ცხადია, რამოდენიმედ ანგარიშით, სარგებლობის მოლოდინით არის გამოწვეული. მაგრამ გარდა ამისა აქ რაღაც მეგობრული, ნათესაური, მეტსაც ვიტყვით, მშობლიური სიმებია გაბმული მეტყველ ადამიანისა და პირუტყვთ შორის. ამ სიმების გაწყვეტა, ე. ი. შეყვარებულ-შეთვისებულთა გათიშვა და გაცალ-ცალკევება უსაზღვრო მწუხარებას იწვევს. ამ მწუხარებას უფრო ინტენსიურად, რასაკვირველია, გონიერი ადამიანი ჰგრძნობს („დავდნი, დავდნი კაცო“, ამბობს მაგ. სოსე), მაგრამ პირუტყვიც,—ეს ჩვეულებრივის შეხედულობით უსულ-უგულო ქმნილება, ისიც გრძნობს და მწვავედ განიცდის განშორების სიმწვავეს. (სოსეს სიტყვით ყორანას „თვალი ამღვრეოდა და თვალის კაკალზე ცრემლი ეკიდა“).

აბა დაუკვირდით თუ რა ნაზი და ძლიერია სოსეს სიყვარული! ის გადაეხვია ყორანას და დაჰკოცნა ისე, როგორც დედა ჰკოცნის შორს და სახიფათო გზას მიმავალ შვილს, ან სატრფო თვის საყვარელს, მისგან ძალად მოჰგლეჯილს და შორს გადაკარგულს. შთაბეჭდილებას ის უფრო აღრმავებს, რომ სოსეს სიყვარული უანგაროა, სოსეს ამწარებს და აღნობს თვით ფაქტი თვის „ძმის“—ყორანას დაკარგვისა და არა შეგნება იმ ზარალისა, რომელიც მოუვა ამ დაკარგვით. ის მზად არის ათჯერ მეტი გადიხადოს, რაც ყორანა ღირს, ხელახლად მონად გაუხდეს ბატონს, ოღონდ დაიბრუნოს თვისი „გრძნობიარე“ და ადამიანივით მოსიყვარულე ყორანა! და როცა ეს ვერ მოუხერხდა, როცა მისი ტანჯვა „გულ-ქვა“ კაცმა—ბატონმა ვერ შეიგნო, სოსე „გიჟივით გამოიჭრა“ და, როგორც ვიცით, ჩაიდინა შემაძრწუნებელი დანაშაული—მოურავის შვილის უმანკო სისხლი დაღვარა.

ბუნებით ნიჭიერი და გონება ფხიზელი ქართველი გლეხი, როგორც გვიხასიათებს ჩვენი მწერალი, სხვა და სხვა ცხოვრების ვითარების ზედგავლენით გონებით ბნელია, უვიცია. მას არა აქვს ელემენტარული ცოდნაც ბუნების კანონებისა: არაფერი გაეგება მედიცინაში, ჰიგიენაში. მაგ. მან არ იცის, რისგან წარმოსდგება ავადმყოფობა, რა დამოკიდებულება აქვს ბუნების მოვლენებს ადამიანის ცხოვრებასთან, კერძოდ—ადამიანს სხვებთან. წარმოდგენაც არ აქვს იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები სხვაგან, სხვა წეს წყობილებაში სხვა ქვეყნებში. და ეს იმის გამო, რომ მის განათლებისათვის არავინ ზრუნავს: სკოლა სოფელში არ არის; სოფლის მღვდელი თვით უმეცარი და გონება ბნელია; ექიმი სოფელს თვალითაც არ უნახავს; თუ რა არის აფთიაქი, სოფელს ვერც კი წარმოუდგენია. აბა რა ქნას საბრალო გლეხმა გაჭირვების დროს? ვის მიმართოს, როდესაც, მაგალ., ავადმყოფობა ეწვევა, დაუძლურდება, სიკვდილი კარზე მიადგება? ყველამ იცის, რომ სული ტკბილია; ალღო სიცოცხლისა ძლიერია ადამიანში. სოფლელი სცდილობს იხსნას მისთვის ძვირფასი არსება სიკვდილის ბრჭყალებიდგან. მაგრამ როგორ? მტერი უხილავი და ძლიერია; შემწე კი აღარავინა ჰყავს... ამისთვის საბრალო იძულებულია მიზეზი მოზღვავებულ უბედურებისა და ხსნა მისგან ზე-ქვეყნიურ სფეროებში ეძიოს. ამ ნიადაგზე სოფელში ფეხს იკიდებს და მერე ბატონდება სხვა და სხვა ცრუმორწმუნეობა, კერძოთ მკითხაობა. „ფთილები და მკითხავი, ამბობს ს. მგალობლიშვილი, აი პირველი და უკანასკნელი მისამართი ღონისძიება ჩვენის გლეხისა. იმათის ჰკუით,—ამ ორის საშუალებით შეიძლება ავადმყოფობის მიზეზის გაგება. მიზეზი რომელიმე ხატია, ან მამის, ან დედის სალოცველებიდგან. იკითხავს კაცი, რად ასტყდომია ხატი ამისთანა დროს? რად მოუცარავს ხელი საწყლის მუშაკისათვის ამ სისხლის პურის ჭამის დროს იმ ხატს, წმინდანს? თავის სიცოცხლეში წმინდანები რომ არას სთხოვდნენ ხალხს, არ აწუხებდნენ და, პირ-იქით; რაც ებადათ ხალხს ახმარებდნენ,—სიკვდილით რაღას მოსთხოვდნენ, ან რაში აქნევენ იმის შეწირვას. ამის მოსაზრება არა აქვს ჩვენს გლეხს და ამხსნელიც არავინა ჰყავს: მღვდელი? მღვდელმა რომ აუხსნას, ხომ სარფა არ ექნება. ამ კითხვებზე ჩვენი გაუნათლებელი გლეხი მკვირცხლად მოგიგებთ: უთუოდ მძიმედ აწყენინა „დალოცვილს ხატს („დედა მაია“, გვ. 15—16) ს. მგალობლიშვილს დაწვრილებით აღწერილი აქვს თავის მოთხრობებში ხალხში გავრცელებული სხვა და სხვა სახის და გვარის ცრუმორწმუნეობა.

ის ცოცხალს სურათებში გვიხატავს იმას, თუ რა სილატაკეში აგდებს ეს ცრუ მორწმუნეობა ისედაც დაბეჩავებულს და გაძვალ-ტყავებულს გლეხობას, თუ როგორ ღრღნის ეს სენი ხალხს, ჰხრამს, უბნელებს მანათობელს გონებას და ბოლოს შეურყეველ რწმენადაც გადაექცევა.

ჩვენს მწერალს ხალხის ცრუმორწმუნეობა ღრმა ცოდნით და დაკვირვებით აქვს აწერილი და დასურათებული. გადუჭარბებლად და გაუზვიადებლად ის გვაჩვენებს იმას, თუ რანაირად გამჯდარა ხალხის სულსა და გულში, მაგ., მკითხაობა, რანაირად გაუდგამს მას ფესვები ხალხის ცხოვრებაში, რანაირად გადაქცეულა ის უმწეო და გონება-ბნელ გლეხისათვის მომხიბვლელ, მანუგეშებელ და მისტიურად დამატკბობელ ძალად. წაიკითხეთ ს. მგალობლიშვილის მოთხრობა: „დედა მაია“, და თქვენ იქ დაინახავთ, თუ როგორ ერთობ დიდი ადგილი უჭირავს ცრუმორწმუნეობას თანამედროვე დაბალ ხალხის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ტკბილი და მომხიბვლელია უმეცარ გლეხისთვის ეს „სენი“ და, თუ მას არ შეებრძოლენ ქართველი ინტელიგენტები: მღვდელი, მასწავლებელი, მწერალი,—ის დიდს ეკონომიურს და ზნეობრივს ზარალს მიაყენებს ხალხს.

**ივ. ვართაგავა.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო სათათბირო

15 თებერვლის სხდომა.

ჯერ როძიანკო თავმჯდომარეობს, მერე ბარუნ-სეკრეტი.

**თ-დ შახოვსკი** კითხულობს მოხსენებას მეომართა და მათს ოჯახებზე მზრუნველობის დებულებათა დამატების კანონ-პროექტს. ამ პროექტით განზრახულია შემწეობის დარიგება სწარმოებდეს თვეში ერთხელ მაინც ან არა უგვიანეს სამ თვეში ერთხელ და არაფერიც არ უნდა გამოერიცხოთ ხოლმე. რომ ჯარისკაცის ოჯახი უსაფუძვლოდ არ ღებულობდეს დახმარებას, საჭიროა ასეთი დახმარება არ ეძლიოთ იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ჯარისკაცი სახლშია დათხოვნილი არა ნაკლებ ერთის თვისა ან არა უმეტეს ორის თვისა რუსეთის შიდა გუბერნიებსა და რუსეთის აზიის ნაწილში. ჯარისკაცის ოჯახი შემწეობას მიიღებს, სანამ სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცს არ შეამოწმებენ და შრომის ამტანად არ ჩასთვლიან, ან სანამ პენსიას არ დაუნიშნავენ. ამ პროექტით განზრახულია დახმარება აძლიონ რუსეთის იმ ქვეშევრდომსაც, რომელნიც მოკავშირეთა ჯარში ჩარიცხულან და იმ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ, რომელნიც რუსეთის ჯარში არიან ჩარიცხულნი. განზრახულია შემწეობა მოუსპონ იმ ჯარისკაცთა ოჯახებს, რომელნიც იარაღის უხმარებლად ტყვედ დაჰნებებიან მტერს, ან ჯარიდან გაიპარნენ.

ეს კანონ პროექტი მიიღეს.

განსახილველია საკანონმდებლო მოსაზრება კოოპერაციებსა და კავშირების სასურველობისა. **მომხსენებელი კარაზინი** მოხსენებას კითხულობს: აუცილებლად საჭიროა საკოოპერაციო კანონმდებლობა, განცხადებითი წესით საკოოპერაციო ამხანაგობათა დაკანონება, კოოპერატივთა კავშირის ნებართვა, უნდა დაკანონდეს, რადგან საკოოპერაციო ამხანაგობათა მიზანია ნივთიერი და სულიერი დახმარება.

**ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.** ფინლიანდიის გამოკლებით, ნახევარ რუსეთში 38 ათასი კოოპერატივია, რომელშიაც ათ მილიონობით წევრია. 50 წელიწადია, რაც რუსეთში საკოოპერაციო საქმე დაიწყო კერძო თაოსნობით, საზოგადოებათა და ერობის მონაწილეობით. მთავრობაც ეხმარებოდა ამ საქმეს. თუ მთავრობა ზოგიერთ კოოპერატივს უნდობლად ეკიდებოდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ამ წმინდა წყლის ეკონომიურ დაწესებულებას პოლიტიკურს ელფერს აძლევდნენ. თუ სათათბირო საჭიროდ სცნობს საერთო საკოოპერაციო კანონის შემოღებას, მთავრობა იკისრებს კანონპროექტის შემუშავებას და განსახილველად წარმოუდგენს და ყოველის მხრით ხელს შეუწყობს საკოოპერაციო საქმის განვითარებას.

**ვინოგრადოვი** მინისტრს უპასუხებს, თუმცა მინისტრმა სურვილი განაცხადა საკოოპერაციო კანონ-პროექტის შემუშავებისა, მაგრამ ამ საქმეს სათათბირო თავის კომისიას მიანდობს. (ტაშის ცემა მარცხნივ)

**რუსანოვი** მშრომელთა ჯგუფის სახელით ემხრობა საკოოპერაციო კანონის გამოცემას.

**ჩისტოვი და სკობელევი** (ს. დ.) სიამოვნებით ეგებებიან საკანონმდებლო მოსაზრებას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს კომისიას საჩქარო დასამუშავებლადაო.

საკანონმდებლო მოსაზრება სათათბირომ სასურველად მიიჩნია და მისი შემუშავება დაავალა საკოოპერაციო კომისიას, რომელმაც ორს კვირაზე უნდა წარმოუდგინოს სათათბიროს.

მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღეს სამხედრო ცენზურის კანონპროექტის პირველი მუხლი.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

15 თებერვლის სხდომა. თავმჯდომარეა **კულომზინი. კონი** ეხება შემოსავლის დაგვარ გადასახადს და ამბობს: ომის შემდეგ დიდი საფინანსო პრობლემები თავს წამოყოფს. მარტო ალებული სესხის პროცენტები რომ ვიანგარიშოთ, წლიური გადასახადი. ერთი მილიარდი გვექნება და ამისთვის საჭიროა ახალი წყაროები. ასეთი წყაროა შემოსავლის დაგვარი გადასახადიო. ორატორი იცავს აგრეთვე კანონპროექტის პროგრესიულობას. ორატორი არ ეთანხმება იმათ, ვინც ამბობდა კანონ-პროექტი საჩქაროდ არის შედგენილიო, რადგანაც ამ კანონ-პროექტის დამუშავებას ფინანსთა სამინისტრო 11 წლის წინედ შეუდგაო. ორატორი წინააღმდეგია რომ კანონ-პროექტი ახალ კომისიას გადაეცეს გადასასინჯავად და მხურვალედ მოუწოდებს სახელ. საბჭოს წევრებს მიიღონ იგი.

**კოკოვცევი** იცავს კაონ-პროექტს, რომელიც 9 წლის წინათ მისივე თაოსნობით იყო წარდგენილი სახელ. სათათბიროში. ორატორს მოყავს მრავალი საბუთი და მოსაზრება, ამ კანონ-პროექტის აუცილებლობის და უპირატესობის დასამტკიცებლად.

კოკოვცევის სიტყვის შემდეგ სხდომა შეწყდა. სხდომის განახლების შემდეგ ლაპარაკობს **პოკროვსკი**, რომელიც უპასუხებს კანონ-პროექტის მოპირდაპირეთ და მოითხოვს კანონპროექტის შეწყნარებას.

# თეთრი დღესასწაული

ჩვენს თეთრ მტრედებს, ფუნთუშა ბავშვობას, თეთრი დღესასწაული გადუხადეს:

მათი ბიძია შიო ოცდაათი წლის მოღვაწეობის გამო თეთრ ყვავილებით დასდაფნეს!

სიცოცხლე, სიხარული, აღტაცება...

დამსწრე საზოგადოების სანეტარო ცრემლები, ცრემლები უმანკო სიმთა ათრთოლებით ჩამოფრქვეული, ცრემლები იის ცვარნამად მოსხურული!

ბ-ნი ივ. გომართელი ტრიბუნიდან ზეიმის გვირგვინს **შიო მღვიმელს** და მის პოეზიას უმარტავდა საზოგადოებას.

ყოველი მისი სიტყვა ყვავილი იყო, მზის სხივით ახლად გაპობილი კოკრები...

„შიო ბავშვების აკაკი...

დიდი შიო ბალღთა შორის უმანკო ბავშვი...

აი ის თეთრი ყვავილი, რომელიც თეთრ ბუჩქის შტოთი მოგვთავაზა...

აგერ, ტაშის გრიალი გაისმის...

ბავშვების გუნდი სიმღერით მოაცილებს ძიას...

ძია შიოს... აღტაცება ასკეცდება...

სამადლობელი ცრემლები...

აი, იწყება დიდთა მილოცვა...

საშინელი პროზა...

შაბლონი...

ისევ ბავშვებს შემოაქვთ. სიცოცხლე...

„ნაკადულის“ ქართველ-გურულ-აჭარელ-კახელს...

ეროვნულ ტანისამოსით გაკვალთულ...

აი, ესაა, ესაა ჩვენთვის საზეიმო...

ჩვენი მომავალი საღი ყოფილა...

გაცილებით საიმედო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვქონდა...

გუნდი ბავშვების, პატარას ლოტბარობით, რვა-ცხრა წლის ბიჭის სოლარი ხელმძღვანელობით...

ტრიო ფუნთუშა სამი ბავში—მათურელების...

მომხიბვლელი სერენადები პატარა და-ძმა ნინა-გოგია ლაფერაშვილების მიერ დაკრული...

ცანგალა ბავშვთა ხოროს მიერ...

განა ყველა ეს თავდები არ არის უტყუარი ჩვენი ეროვნული აღორძინებისა?

ბიძია შიოსადმი ანგელოზთა მიერ მშობლიურ ენაზე გახმაურება განა სიმბოლო არ არის მკვდრეთით აღდგომილ საქართველოსი?

იცოცხლეთ, ჩვენო მომავლის იმედო ნორჩო ყვავილებო!

იცოცხლეთ თეთრო მტრედებო!

იცოცხლეთ და გიცოცხლოთ ბიძია შიო, თქვენი კეთილი მებაღე, თქვენი თანამგზავრი, თქვენი სიხარულისა და წუხილის ნამდვილი მხატვარი...

გულწრფელი მადლობა... ათასი გიდელი მადლობა, რომ გულგატეხილ თაობას იმედის სხივი შთაუნერგეთ...

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!..

დ. კ—ძე.

—

P. S. ზეიმი ბიძია შიოს სადღესასწაულოდ არა ჩვეულებრივ კარგი და წარმტაცი იყო. მხოლოდ ერთი რამ ემჩნეოდა: არა სჩანდა **პედაგოგობა!** მთავრობის სასწავლებლებიდან მხოლოდ მეორე კომერციულმა სასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. **სხვაგან** ასეთ შემთხვევაში სულ სხვაგვარად იქცევიან. ბავშვთა დღესასწაული არცკი ამცნეს სკოლის კედლებში დახშულ ყვავილა ნორჩ სულთ. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხო ეროვნებათაგან მხოლოდ ამიერ კავკასიის მუსულმანთა საზოგადოებამ გამოჰგზავნა თვის წარმომადგენელი და ისინი კი არსად სჩანდნენ, ვინც რომ ყოველ დღე მეზობლობაზე გაჰკივიან და ერთგვარ საყვედურითაც კი გვახრჩობენ ხშირად...

მიუხედავად ამისა, დღესასწაულს დღესასწაულის იერი არ დაჰკარგვია. კარგი იქნება თუ იმავე პროგრამით დღესასწაულს სახალხო სახლშიც გაიმეორებდენ, ერთის პირობით კი: პროგრამიდან ამოშალონ დიდები და სულ ბავშვებს დაანებონ რათა თავიანთი სულის სამეფო თვითვე განაგონ...

დ. კ.

# მილოცვები

1, დილის გამმართველ კომისიის თავმჯდომარე გ. თ. ჟორდანია.

2. „ჯეჯილის“ რედაქცია

3, „ნაკადულის“ რედაქცია

4, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება

5, საქ. საისტ.-საეთნოგრაფ საზოგ.

6, ქართ. კულტ. მოყვ. საზოგ.

7, თბ. ქართვ. ქალთ. საზოგ.

8. ამიერ კავკასიის მუსულმანთა საზოგ.

9, თელავის საზოგადოების წარმომადგ. ბ. სულხანიშვილისა.

10, თბ. ქართული გიმნაზია.

11. თბ. ქართული საქალებო გიმნაზია.

12, „განათლების“ საზოგადოება.

13, ქართველ ქალთა პრა-კერვის სასწავლებელი.

14, თბილისის მეორე კომერციულ სასწავლებლის მოწაფენი.

15, თბ, სახელოსნო სამმართველო.

16, თბ. ნოქართა კლუბი.

17, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“

18, „თანამედროვე აზრი“

19, რუსი მგოსანი ბობირევი

20, მსახიობი ი. ივანიძე (ახვლედიანის ლექსი)

21, ქვრივი მარიამ დიმიტრის ასული ჩივაძისა

**ბავშვები**

22, ხუხუნი, ფხალაძე, მათურელები, მერკვილაძე, გიორგობიანი, იასალაშვილი, ტურიაშვილები.

**დეპეშები იყო.**

1, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება

2, ქუთაისის გაზეთი „მეგობარი“

3, ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება

4, კიევის ქართველი სტუდენტობა

5, დუტუ მეგრელი.

6, ქუთაისის ქართული დრამატიული დასი.

7, ქუთაისის საზოგადო საკრებულო

8, წ. კ. საზოგ. ლანჩხუთის განყოფილება

9, მასწავლებელი კოტე გვარამაძე

10, თელავის საზოგადოება

31, პეტრე მაჭავარიანი

12, ტომსკის სტუდენტთა ქართული სათვისტომო.

**ხარკოვი.** ხარკოვის ქართველთა სათვისტომო მარველობა.

**გორი.** ცქვიტი.

**ლანჩხუთი.** წ. კ. განყოფილების თავმჯდომარე ჩხეიძე.

**ქუთაისი.** შიოს პატივისცემელთა ერთი ჯგუფი.

**სიღნაღი.** ქართველი ახალგაზრდობა.

**მაჩხაანი.** ქვემო ქიზიყელნი.

**თბილისი.** მეექვსე გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელი ალ. მიხ. ციმაკურიძე.

**ქუთაისი.** სათავად-აზნაურო გიმნაზია. დირექტორი ოცხელი.

**თბილისი.** დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი.

# ახალი საეპისკოპოზო

ამას წინეთ გაზეთებმა გვაუწყეს, ვითომც ახალ ექსარხოსს განზრახოს მცხეთაში საეპისკოპოზო კათედრის „დაარსება“ თუ „აღდგენა“, და მხურვალე წერილებიც უძღვნეს ასეთი აქტის „კანონიურ“ მხარეს. ამ დღეებში მე შემთხვევა მომეცა აღნიშნულ საგანზე გამოვლაპარაკებოდი ექსარხოსს, რომელმაც გადმომცა შემდეგი: „დიდად ვწუხვარ, რომ ჩემი გულის-ნადები სისწორით ვერ გადაუციათ რედაქციებში და ამით უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა გამოუწვევიათ. მე იმ აზრისა ვარ, რომ ეპისკოპოზი, რაც შეიძლება, ხალხთან ახლო იყოს და ხალხი მას იცნობდეს, როგორც მწყემსს და ხემძღვანელს. თბილისში ამ ჟამად ორი ეპისკოპოზია, პროვინციას კი, რომელიც ყოველ გვარ კულტურულ ძალას მოკლებულია, მათი დანახვა ეინტერესება: მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენში ბევრია ისეთი სამრევლო, სადაც ეპისკოპოზი ერთხელაც არ უნახავთ. ამისათვის მე გადავწყვიტე გორის ეპისკოპოზი სამუდამოდ გორში დავაბინავო და ერევნისა ყარსში, ისე, როგორც ალავერდის ეპისკოპოზი კახეთშია დაბინავებული და ბაქოსი ბაქოში. გორის ეპისკოპოზის გორში დამკვიდრების შემდეგ თბილისში და თბილისის ქართველობა უეპისკოპოზოდ დარჩება, ეს კი ყოვლად შეუძლებელია ამიტომ მე ვფიქრობ შუამდგომლობა აღვძრა სინოდში, რომ დამინიშნონ მესამე ქართველი თანაშემწე (გორელისა და ალავერდელის შემდეგ), რომელიც თბილისში იცხოვრებს. მე ჯერ არ მიფიქრია იმაზე, თუ რა სახელი დავარქვა ამ ეპისკოპოზს, რადგანაც ეს მნიშვნელოვან ფაქტად არ მიმაჩნია, ყოველ შემთხვევაში აზრად არ მომსვლია, რომ იმას „მცხეთელი“ ვუწოდო და მცხეთაში საეპისკოპოზო „აღვადგინო“ ან „დავაარსო“. მცხეთის საყდარს მე დარაჯად ვუდგივარ და, დარწმუნებული იყავით, იმის დამცირებისა და შებღალვის ნებას არ მივსცემ არც ჩემ თავს და არც სხვას. ასეთია ჩემი ნამდვილი განზრახვა, რომელიც, გთხოვთ, დაინტერესებულ წრეებსაც გააცნოთ“.

დეკ. კ. კეკელიძე.

# ქალაქის საბჭო

15 თებერვალი,

კრება დაიწყო **ა. ი. ხატისოვის** თავჯდომარეობით საღამოს 8 საათ. 50 წუთზე. თავჯდომარემ განაცხადა: დღეს განსახილველ საქმეთა სიაში არ შედის საკითხი სურსათ-სანოვაგის შესახებ, რადგანაც ამ საგანზე გამგეობა ვრცელ მოხსენებას ამზადებს და ამ დღეებში უნდა წარმოედგინა საბჭოსათვის, მაგრამ გარემოება თხოულობს გამგეობის სიტყვიერი მოხსენება დღესვე იქნას მოსმენილ და საბჭომ თავისი დადგენილება გამოიტანოსო.

**ხიდებზე ბაჟის გაუქმება.**

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ვერისა და მნაცაკანოვის ხიდებზე გაუქმებულ იქმნას ბაჟი. როგორც ანგარიშიდან სჩანს, ვერის ხიდს შემოჰქონდა წლიურად ქალაქის კასაში 30,135 მან., ხოლო მნაცაკანოვის ხიდს 5,095 მან. ვერის ხიდის შემოსავლის მომეტებული ნაწილი ტრამვაის ვაგონებისაგან ჰქონია: უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ხიდს შემოუტანია კასაში 131,000 მანეთი; ამ საერთო ჯამიდან 72,000 მანეთი ტრამვაის საზოგადოებას მოუცია. ამ ანგარიშის მიხედვით ტრამვაი იძლეოდა წლიურად 17,000 მანეთამდე, ხოლო სხვა მოსიარულენი კი (ეტლები, ურმები და სხ.) მხოლოდ 14,000 ათას მანეთამდე. გარდა ამისა ხიდებზე ბაჟი იმ პირობით იყო დაწესებული, რომ როცა ხიდების გაკეთებაზე დახარჯული ფული ანაზღაურდებოდა თავისი პროცენტებით, ბაჟი უნდა გაუქმებულიყო; 10—11 წელიწადი შესრულდა, რაც გაწეული ხარჯები აინაზღაურა ქალაქმა და ეხლა უფლებაც აღარ აქვს ისევ ფული ახდევინოს მოსიარულეთ. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ბაჟის გადახდევინების გამო ხშირად უსიამოვნება და ჩხუბია ხიდებზე.

**ხმ. მესხიშვილი** წინადადებას იძლევა, გამგეობის მოხსენება უკამათოდ მიიღონ.

**ხმ. ხუნუნცი** საჭიროდ არა სცნობს მოხსენების შეწყნარებას. მისის აზრით ბაჟი ისევ უნდა დარჩეს და ამ შემოსავლიდან შედგეს განსაკუთრებული თანხა, რომლითაც ახალი ხიდები უნდა გააკეთოს ქალაქმა.

**ხმ. სულხანოვი.** მე პირველად მესმის, რომ ხიდებზე სკანდალი ხდებაო. გამგეობის წევრი **ჯაბარი.** არა თუ სკანდალი, ხშირად ბაჟის გამო სისხლიც იღვრება.

**ხმ. ბაზოვი.** მე ამ თავითვე იმ აზრის ვიყავი, რომ ბაჟი გაუქმებულიყო, მაგრამ რადგან ეხლა ამ საკითხის გამო კამათი ასტყდა, საშუალო გზას ვარჩევ: ბაჟი ისევ დარჩეს და ტრამვაის ვაგონებზედაც წინანდებურად ავიღოთ ბაჟი, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელ შემოსავლიდან ერთი ნაწილი გადაიდოს განსაკუთრებულ თანხის შესადგენად, რომელსაც მოვახმართ ახალ ხიდების აგებას.

**ხმ. გალსტიანი** მომხრეა ბაჟის გაუქმების მნაცაკანოვის ხიდზე, მაგრამ ვერის ხიდზე ისევ უნდა დარჩესო.

**ხმ. ხუნდაძეს** სამარცხვინოდ მიაჩნია ქალაქის თვითმართველობისათვის გამვლელ-გამომვლელთაგან ბაჟის აღება და თხოულობს იმის ეხლავე გაუქმებას.

**ხმ. ი. მ. დოლუხანოვს** აკვირვებს ხუნდაძის განცხადება და ვერავითარ სასირცხო მოქმედებას ვერ ხედავს ბაჟის აღებაში ხმოსანს, როგორც თითონ განაცხადა, ბევრნი უმოგზაურნია ევროპაში და იქ მრავალ ქალაქში, მაგალითად, ბუდაპესტს და ზალცბურგში, ახდევინებენ ბაჟს.

**ხმ. მაზმანოვი.** ბაჟის მიცემას გაურბიან საქონლის მზიდავი მეეტლენი და რკინის გზიდან ყველანი ვორონცოვის ხიდით მოდიან ქალაქშიო. ეს ხიდი დიდი ხანია, არ შეკეთებულა და დიდი ჯაფა აწევს. ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ვერის ხიდზე ბაჟი გაუქმდესო.

**ხმ. მიტკევიჩი** ქალაქმა დიდი ხანია აინაზღაურა დახარჯული ფული და ეხლა არავითარი უფლება აღარ აქვს ხალხს ფული ახდევინოსო. ხმოსანს უკანონობად მიაჩნია ასეთი ბეგარის აბოჰვა, რადგან ამით ხალხს თავისუფლად სიარულის უფლება ესპობა; ეს იმას უდრის, რომ ვისმეს აუკრძალოთ რომელიმე ქუჩაზე სიარული.

საბჭომ ხმის უმრავლესობით შეიწყნარა ქალაქის მოხსენება.

**ორთაჭალის ხიდი.**

მოსმენილ იქმნა გამგეობის მოხსენება შესახებ ხიდის აგებისა ორთაჭალაში ტკვრის ტოტზე. ეს საკითხი უკვე წინად იყო საბჭოს მიერ გადაწყვეტილი, მხოლოდ გამგეობას დავალებული ჰქონდა ხიდის გეგმა და სავარაუდო ხარჯი შეედგინა. გამგეობას შესაძლებლად ვერ დაუნახავს ამ ჟამად სამუდამო ხიდის აგება, რადგან მასალა არ იშოვება. ამიტომ გადაუწყვეტია ჯერ-ჯერობით დროებითი ხიდი გაკეთდეს ხის მასალისაგან. ხიდის სიგძე იქნება 32 საჟენი. თუ 2 საჟენი განი ექნება ხიდს, მისი გაკეთება დაჯდება 10.500 მანეთი, თუ საჟენ ნახევარი ექნა, დაჯდება 6.000 მანეთი.

**ხმ. ხუნუნცი** ამტკიცებს, რომ ამ ჟამად ხიდების კეთების დრო არ არისო. მისის აზრით იქ ჯერ ისევ ბორნითაც იოლად წავლენ.

**ხმ. გოთუა** წინააღმდეგი არ არის $1^1/_2$ საჟ. ხიდისა, მაგრამ ეშინიან, რომ საბჭოს დადგენილება შეუსრულებელი არ დარჩეს, როგორც ეს მოუვიდა ვერის პარკში მისასვლელ ხიდს.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა გაკეთდეს 1 ნახ. საჟ. ხიდი და ამ საქმისათვის გადაიდოს 4,000 მანეთი, ხოლო 2.000 მანეთი გაიღონ ორთაჭალის მებაღეებმა პირობისამებრ.

**სავალდებულო დადგენილებანი ბინების ქირის შესახებ.**

წაკითხულ იქმნა გამგეობის მიერ შედგენილი პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ბინების ქირის მოწესრიგების შესახებ. ამ საგნის შესახებ არსებობს სავალდებულო დადგენილებანი მეფის ნაცვლის კანცელარიის და კავკასიის ოლქის მხედართ მთავრის გენერალ ვოლსკის გამგეობას თავისი პროექტი შეუმუშავებია აღნიშნულ დადგენილებათა მიხედვით სავალდებულო დადგენილებათა ასრულებას თვალ-ყური უნდა ადევნონ საგანგებო კომისიებმა, რომელთა რიცხვი თბილისში 5 იქნება. თითოეულ კომისიაში წევრებად შედიან სახლების პატრონთაგან 3 კაცი, რომელთაც ნიშნავს ქალაქის საბჭო და 3 კაცი ბინების მოქირავეთაგან, რომელთაც ნიშნავს სახაზინო პალატის გამგე. კომისიის თავმჯდომარედ იქნება ხარჯების ამკრები ინსპექტორი.

საბჭომ რამდენიმე ცვლილებით შეიწყნარა პროექტი სავალდებულო დადგენილების, ხოლო სახლების პატრონთაგან წევრების დანიშვნა კომისიებში შემდეგისათვის გადასდვა.

(დასასრული იქნება)

# საგულისხმო ლექცია

19 [illegible] კლუბში ქართ. კულტ. მოყვარ. საზ. თაოსნობით ბ. კ. დოდაშვილი წაიკითხავს ლექციას- „მოგზაური და სასახლის მოშაირეები ძველ საქართველოში“.

სიმართლე უნდა ითქვას, ასეთს საინტერესოსა და მრავალ-მნიშვნელოვან ლექციას ადამიანი ძალიან იშვიათად შეხვდება... დღესაც კი, შედარებით, დაუსრულებელია ის ნეტარება, რომელიც ამავე ლექტორმა ამ ლექციით ორი წლის წინად სახალხო სახლში განგვაცდევინა.

შოთა რუსთაველი, მისი „ვეფხვის ტყაოსანი“, მისი არსებობისა და წაკითხვის ამბები, იმ დროის მეფე, სასახლის კაცნი და საზოგადოების ვითარება—აი ის ფერადებად გადაშლილნი, საქართველოს სულის გამომსახველნი ერთეულნი, რომელნიც ჩვენი დიადობის ოქროს სინტეზსა ჰქმნიან და ეს სინტეზი ბ. კ. დოდაშვილის ნაშრომშიაც აარტივ, საყურადღებო და ძვირფას განძს წარმოადგენს. ამას აგრეთვე მოწმობენ ის პირნიც, რომელთაც ამ ლექციის უაღრესი ძვირფასობა გაზეთის ფურცლებზეც აღნიშნეს...

ეხლა ამ ლექციის მოსმენა კიდევ გვეღირსება. ეჭვი არ არის, ეს ლექცია უფრო შევსებული და საინტერესო იქნება. დამსწრეთა რიცხვი მაშინ ძალზე მცირე იყო, მაგრამ საქმის მოწესრიგებელთ ალბად სწამთ, რომ დღევანდელი ქართველობა ამ ლექციას ღირსეულად შეხვდება და ჩვენი სათაყვანებელის შოთას არსებობის ვითარების ერთ მხარეს შეიცნობს...

და ლექტორიც, დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას დააკმაყოფილებს... პატივცემული ლექტორი ღირსეულ ერის შვილს, მის შემოქმედის სახეს სრულყოფილად წარმოგვიდგენს.

დავესწროთ ამ ლექციას და ნათქვამის სიმართლე ადვილად დამტკიცდება...

მ. ხ.

# კ. ფოცხვერაშვილის ლექცია-კონცერტი გაქოში

ვინც ჩვენს ყოფა-ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, ადვილად შენიშნავდა, რომ რაც ჩვენი უნუგეშო აწმყო - გარემოებითი გამოწვეული სოციალურ - პოლიტიკური ცხოვრება შეიცვალა, მას აქეთ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ნამდვილი ორიგინალობის სახეც წაგვერთვა. იგივე უცხო სოციალურ - პოლიტიკურ ტალღებში მოცურავე ქართველი სიმახინჯის, გადაგვარების და თან უმოქმედობის მახვილმა დაიპყრო. ერთის სიტყვით შეიცვალა და შეირყა ქართველი ერის ცხოვრების პირობები. ამის უტყუარ მაგალითებს ბევრს დაინახავს ყველა, ვინც განგებ თვალს არა ჰხუჭავს; დღევანდელმა „განათლებულმა“ ქართველმა წინაპართა გემოვნების მხრით სრულიად დავიწყებას მისცა თავი თვისი. ძველი ძვირფასი, მარგალიტისებური მელოდიების და საამო ხალხური სიმღერების მაგივრად მომრავლდა ურიცხვი შაბლონიური და ქუჩური სიმღერები. ამ უკანასკნელთ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არავითარი ნათესაობა და კავშირი არ აბადია ქართველის სულთან.

პირველ ლექციაში, რომელიც წაიკითხა ბ. ფოცხვერაშვილმა 23 იანვარს სომ. კ. მოყ. საზ. დარბაზში, ხაზგასმით აღნიშნა ეს სამწუხარო მოვლენა. „ასე, ამრიგად მოიშხამა და გადარჯულდა ჩვენი ქვეყანა—სთქვა ლექტორმა,—და თუ კიდევ გაიგონებთ აქაიქ ჩვენს წინაპართა ქურუმთა სიმღერა-საგალობელს, იმასაც ბუნდოვანად, დამახინჯებულად და ულაზათოდო“.

მეორე ლექცია-კონცერტი ბ. ფოცხვერაშვილისა გაიმართა ადგილობრივ საზ. საკრებულოს დარბაზში ხუთშაბათს, 11 თებერვალს. პირველ ორ განყოფილებაში ბ. ფოცხვერაშვილმა წაიკითხა ლექცია: „რელიგია ჩვენი ერისა და მისი ჰიმნ-საგალობელნი“. ლექტორმა თავის შინაარსიან ლექციაში ბევრი ძველი ხალხური ლეგენდები გვიამბო. ერთი ლეგენდის გამო, რომელშიაც გატარებული იყო ღვთისა და ეშმაკის ჩხუბი და უკანასკნელის მიერ პირველის დახრჩობა, ერთმა სულიერმა მამა-მღვდელმა დარბაზი დასტოვა, რამაც გამოიწვია დამსწრეთა შორის ჩუმი სიცილი. საკონცერტო

განყოფილებაში შესრულებული იქმნა ცალფა თქმით ძველი ქართული სასულიერო საგალობელნი. ზოგიც პეტროგრადის სასულიერო კონცერტის რჩეულ ნომრებიდან.

წრფელი და გულმხურვალე „ვაშას“ ძახილი ნათლად მოწმობდა თუ რა რიგ ძლიერია, მტკიცე და შეურყეველი მშობლიურ სიმთა ჟღერება!

წარმართმა ჩვენმა საქართველომ ბევრი, ძლიერ ბევრი რამ მარგალიტები ჩაიკლა ხალხის გულში! ამ მარგალიტების ამოგლეჯა და გაცხოველება—აი უმთავრესი მიზანი ჩვენი სახელოვან კომპოზიტორისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი თამამად შეასხამს ფრთებს თავის კეთილ—საშვილიშვილო განზრახვას და მისი სახელიც დარჩება ისეთი უკეთილშობილესი დ ცხოველი გასაგონარად, როგორც დღეს ჩვენთვის, ყოველ დადეგში ახალი, განახლებული მთვარე!..

**ვ. მაცხოვარკარელი.**

## კავკავის ამ-ბარგი

**კავკავის სკოლა.**

(დასასრული)

და აი, ამისთანა მასწავლებლებს აქაური გამგეობის ზოგიერთა წევრები ხელს აფარებდნენ და საქმესაც კი უწყობდნენ თურმე. განა ამ გვარ მასწავლებლების ხელში ქართულ სკოლას წარმატება დაეტყობა სადმე? მეორე მიზეზი აქაურ ქართულ სასწავლებლის დაქვეითებისა ამბობენ შედეგია ძველ და ახალ გამგეობის წევრების ერთმანეთში უთანხმოებისაო. თუ ეს მართალია სირცხვილი გამგეობის ამისთანა წევრებს, რომლებიც პირადის კინკლაობით სასწავლებლის გარეშე სტოვებენ „არაფერ შუაში“ მყოფ „უბრალო“ ხალხის ბალღებს! მესამე და უმთავრესი მიზეზი სასწავლებლის სისუსტისა თვით სასწავლებლის მცირე ღირსებაში უნდა ვეძიოთ. ეს სასწავლებელი რომ ხალხისათვის სანუკვარი სახისა იყვეს, ინტრიგები მას ბევრს ვერას დააკლებდენ. კავკავის ქართული სასწავლებელი ერთად-ერთი ყველაზედ მახლობელი ქართული სასწავლებელია (ყაზბეგი რომ არ ვიანგარიშოთ) მთელ გადმოღმა მთიელთათვის. ამ სასწავლებელმა უნდა გაუწიოს მესვეურობა და მისცეს მიმართულება აქეთურ მთიელ ქართველ ხალხს, რომელიც სრულიად უპატრონოდ არის დარჩენილი. ამიტომ ეს სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს უეჭველად ქართულ „სამეურნეო და სახელოსნო კერძო სასწავლებლად“. სრულებით არ არის საჭირო, რომ უფლებიანი იყოს ეს სასწვლებელი.

მაშინ მართლა დიდი მნიშვნელობა ექნება მას მთაგადმოლმელთათვის და მოწაფეთა სიმრავლესაც იქნებ ვეღარც კი აუვიდეს იგი. (შემთხვევა მქონდა ზოგიერთა აქეთურ მთიელებთან მესაუბრნა ამ საკითხის შესახებ და უნდა ვსთქვა, რომ მათ სიამოვნებით გამოსთქვეს სურვილი ამისთანა სასწავლებლისათვის წლიურად გადასახადის გაღებისა.) საქმის დაწყებისათვის ნიადაგი მზად არის, ხოლო დამწყები არსადა სჩანს.

მართალია, აქაურ წ. კ. გ. ს. სასწავლებელთან არსებობს **ქალთა ჭრა-კერვის და ქარგვის სასწავლებელი**, მაგრამ აქ გამოჭრილ და შეკერილ ტანსაცმელით ალტაცებული ჯერ არავის უნახავს ვინმე, ხოლო მომდურავი კი მრავალი. ამიტომ არც საკვირველია, რომ ამ განყოფილების მდგომარეობა ძალიან უხეიროა; წ. კ. გამგეობა რომ არ ეხმარებოდეს ამ სასწავლებელს, იგი უეჭველად ვერ იარსებებდა დამოუკიდებლად. მაგრამ გამგეობამ უეჭველად ყურადღებაც უნდა მიაქციოს, რომ მასწავლებლები საქმისათვის მომზადებულნი იყვნენ და იცოდნენ რიგიანი ჭრა-კერვა, თორემ ალარავინ მიუდგება ამ სასწავლებელს, ვერც ვერავინ ისწავლის აქ ხეირიან ჭრა-კერვას და ყველა დამკვეთავიც შემოეფანტება. ეს ქალთა სასწავლებელი იმყოფება ქალთა „პარასკეობის“ საზოგადოების ზედამხედველობა და მზრუნველობაში; ამ საზოგადოების ქალბატონები ყოველ პარასკეობით იკრიბებიან სასწავლებლის შენობაში, ჩაის მიირთმევენ, მასლაათით იქცევენ თავსა, ლოტოსა ჰმართავენ და, თუ მოგებიდან ერთი ორ კაპეიკს სასწავლებელსა სწირავენ, ჰგონიათ საზოგადო საქმეს არიგებენ.

საზოგადოთ კავკაველ ქართველ ქალის სურათი ნამეტანი სამწუხარო და ჩამაფიქრებელია. აქ რომელ ქალსაც კი შლიაპა დაუხურია, ქართულად აღარ კადრულობს ლაპარაკს. რომელ ჯურის ხალხთან არა ნახავთ აქ ქართველ ქალს ხელ-ხელ გაყრილს! არშიყობა-კეკლუცობაში მათ ქიშპობას ვერავინ უწევს, ყველას გადააჭარბეს. ვინ უნდა შეაჩეროს ამ ქალების ასეთი აღვირწახსნილობა ან დაიფაროს ამ გზისაგან სხვები? განა ეს უპირველეს ყოვლისა ქალების საზოგადოების საქმე არ არის? მაგრამ ესენი სხვებს რას უშველიან, როდესაც თავიანთ თავისთვისაც ვერა უწამლიათ რა და ლოტოზედ იქით ვერ წასულან.

**საკვირაო სკოლა.** აგერ სამოსწავლო წელი თითქმის გადის და აქაურ საკვირაო სასწავლებელს ჯერაც არ დაუწყვია თავისი მოქმედება. სასწავლებელში სიარულის სურვილი კი დიდია როგორც მდაბიო ხალხში, აგრეთვე მთავრობის სხვა და სხვა სასწავლებელში მყოფ ქართველ შეგირდებში. საკვირაო სასწავლებლის გახსნის ნებართვა აქაურ წ. კ. ს. გამგეობის თხოვნით შარშან აუღია ბ-ნ კახიძეს, წლევანდელი გამგეობა ნებას აღარ აძლევს ბ-ნ კახიძეს სკოლის გახსნისას. ამისი მიზეზი უმთავრესად მღ. გიორგი ნათაძის გამგეობაში წევრად შესვლა ყოფილა. მამა გიორგი და ბ-ნი ტიტე თურმე ერთმანეთში ვერა რიგდებიან და გამოდის საკვირაო სკოლა შუაში გაჭყლეტილი. რომელია მათში მართალი ამის გამოძიებას აქ ვერ შეუდგებით, მხოლოდ შემდეგის თქმა კი შეიძლება: ბ-ნი ტ. კახიძე რომ საზოგადოებისათვის მთლად წამხდარი და გამოუსადეგარი კაცი იყოს, მას არც საკვირაო სასწავლებელი დააინტერესებდა და არც აქაურ გიმნაზიაში ქართული ენის სწავლების საკითხი (ბ-ნ ტ. კახიძის მეოხებით აქაურ გიმნაზიის დირექტორმა ბ-მა მ. გლუშაკომ შემოიღო თავის სასწავლებელში ქართული ენის სწავლება და მასწავლებლად მოიწვია თქვენი უმორჩილესი მონა მ. შალამბერიძე, რომელმაც სამწუხაროდ უკვე უნდა მიანებოს ამ თანამდებობას თავი, რადგან ჯარში იწვევენ.) მამა გიორგი კი არც გიმნაზიაში ქართული ენის შემოღების მომხრე იყო—ხელი არ მოაწერა ამ საქმის გამო შედგენილს თხოვნას—და საკვირაო სკოლის მოწყობასაც უშლის ბ-ნ ტ. კახიძეს. (ამას გარდა, მამა გიორგის რომ ბოროტი ენა ჰქონია შემდეგიდანაც სჩანს: მ. შალამბერიძე იმიტომ ვერა ჰბედავს კახიძის მოწინააღმდეგობას, რომ კახიძეს მას გიმნაზიაში ქართული მასწავლებლობას ადგილი უშოვნაო, ლაპარაკობს მღვდელი. ე. ი. იმ თექვსმეტ მანეთს, რომელსაც ქართული ენის მასწავლებელი იღებს გიმნაზიაში, შალამბერიძე ანაცვალებს თურმე თავისს სინდისს და საზოგადო საქმესაც (მღვდლის მომხრეობას!) ამგვარი ხრიკები აზრის არა თანამოზიარეთა ლაფში ამოსასვრელად და საზოგადოებაში ნდობის დასაკარგველად დიახ მოხერხებულია; მაგრამ სცდება მღვდელი, თუ იგი დარწმუნებულია ამისთანების ყოველთვის გასავალში: საქმენი თვითონ ღაღადებენ სინამდვილეს თავიანთ შესახებ და ადრე თუ გვიან, ყველა დაინახავს და გაარჩევს მართალს. მაგრამ რა, მგლის თავზედ სახარებას კითხულობდნენო“. მღვდლის სიტყვებია: „რაც უნდა ილაპარაკონ ჩემზედ, ბევრი აგვიტანია და კიდევ მოვახერხებთ ატანასაო.

იანვრის პირველ ნახევარში ბ-ნ ტ. კახიძემ დაახლოვებით შემდეგი თხოვნით მიჰმართა წ.-კ. საზ. აქაურ გამგეობას: შემატყობინეთ, ჰხსნით თუ არა საკვირაო სასწავლებელს და, თუ არა, მე რატომღა არ მაძლევთ ნებას ვაწარმოვო იგიო. ბ.-ნ ტ. კახიძეს პასუხი დღემდე არა ჰღირსებია. გამგეობა ვალდებულია პასუხი გასცეს საზოგადოებას, როგორც ყოველთვის ისე ამ შემთხვევაშიაც. გამგეობა კი სდუმს და უმოქმედობს, როდესაც საქმის ჩქარი გადაჭრაა საჭირო. ხოლო როდესაც სიწყნარე და სიდინჯე ჰმართებს, მაშინ იგი სჩქარობს და ჰლელავს. გამგეობის აჩქარებული მსჯავრი: გამოუძიებლად ქ-ნ ქიქოძის გაძევება ქართულ საზოგადოებიდან და მის ყოველნაირ დაწესებულებებიდან (თეატრიდანაც კი!) დღესაც ჰღაღადებს გამგეობის უსამართლობას და მოითხოვს მისგან ამ შეცდომის გასწორებას. საქმის ვითარება მოკლედ შემდეგში მდგომარეობს:

ქ-ნი ქიქოძისა საუკეთესო იდეალებით გამსჭვალული და საქმის გულწრფელად მოყვარული პიროვნებაა. მოწვეული იყო აქაურ ჭრა-კერვის სასწავლებელში, მაგრამ ინტრიგების წყალობით მალე მიატოვებინეს იგი. მან მოისურვა არსებულ ჭრა-კერვის სასწავლებელზედ უფრო ფართო პროგრამის სასწავლებლის გახსნა (მანქანებით წინდების ქსოვა, მატყლის და ხალიჩების ქსოვა, აბრეშუმის ჭიის გაშენება და სხვა) და სულ მცირე დახმარებასა სთხოვდა აქაურ გამგეობას. ეს დახმარება უფრო ზნეობრივი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ვიდრე ქონებრივი; მაგრამ გამგეობამ არ შეიწყნარა ქ-ნ ქიქოძის თხოვნა და მის პროგრამას „ჰაერში გამოკიდული“ ე. ი. უნიადაგო და შეუსრულებელი უწოდა. შემდეგში, სცენის მოყვარულთა კრების დროს, აქაურ წერა-კითხვის ერთ მასწავლებელ ქალთაგანმა შელაპარაკების დროს, ამბობენ, სხვა სიტყვიერად დედის გრძნობების შეურაცხყოფასთან ერთად განუმეორა ქ-ნ ქიქოძისას: „შენი გეგმები ჰაერშია გამოკიდებულიო“. ქ-ნი ქიქოძისა ამის გამო ძალიან აღელვებულა და თავის მხრით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია მასწავლებელ ქალისათვის (ზნეობას შეჰხებია). საქმე თანდათან გამწვავდა. ამის გამო გამგეობას ყრილობა ჰქონდა და საქმის გამოუძიებლად ზემოდ მოყვანილი მსჯავრი გამოუტანა ქ-ნ ქიქოძისას: გააძევა ქართულ საზოგადოებიდან და დაეხშო მას ყოველ ქართულ კულტურულ დაწესებულების კარი. გამგეობამ უეჭველად უნდა გადაათვალიეროს ქ-ნ ქიქოძის საკითხი, გამოიძიოს ყოველივე მიუდგომლად და არა მიკერძებით. გამგეობამ ბოდიში უნდა მოიხადოს ქ-ნ ქიქოძის წინაშე არამც თუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, ვინიცობაა იყო სრულიად უდანაშაულო აღმოჩნდა, არამედ მაშინაც კი, თუ ქ-ნ ნატალია ქიქოძისას საქციელი საძრახისი, მაგრამ გარემოებათა მიხედვით მაინც შესაწყნარებელი გამოდგება. გამგეობამ უნდა აღუდგინოს ქ. ნატ. ქიქოძისას უსამართლოდ შელახული პატივი. გამგეობამ აღელვებისათვის საშინლად დასაჯა ქ-ნი ქიქოძისა და თვით გამგეობამ კი იგივე დანაშაული ჩაიდინა. სხვა არა იყოს რა „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზედ მეტს იწველიდესო“.

### სამკითხველო.

სძინავს კავკავის თეატრსა და საკვირაო სასწავლებელს, მაგრამ არც თუ აქაურ სამკითხველოს საქმეა სახარბიელოდ: სამი წელიწადია უკვე რაც იგი მიუკეტიათ და არის ასე. განა ესდასაჯერებელია? მაგრამ სამწუხაროდ სიმართლეს მოგახსენებთ. მაგრამ რა, ყოველივე ჩვეულებრივად ამბობდა სასწავლებელში ქართული ანბანის ყიდვა უნდა ხალხს და ისიც კი არ მოიპოვება. აუარებელი ხალხი რჩება უანბანოწიგნოთ და სასწავლებელი კი გამოწერასაც არა ჰფიქრობს მგონი. (ან უწიგნებოთ საკვირაო სასწავლებელი, რომ გახსნან კიდეც, ნეტა როგორ უნდა აწარმოვონ!).

მოკლეთ, ასე მიმდინარეობს ის საქმეები, რომლებიც წ. კ. გ. ს. აქაურ განყოფილების გამგეობის პირდაპირ უწყებაში იმყოფება.

### მდაბიო ხალხი

მდაბიო ხალხი რაღას აკეთებს? აქაურმა ინტელიგენციამ ამათი აქ არსებობის შესახებ თითქმის არც კი არაფერი იცის. ყველაზედ უფრო ამ ხალხს იცნობს, რასაკვირველია, მღვდელი. მაგრამ რა გაუკეთებია აქაურს მღვდელს ამ ხალხისათვის დაქორწინების და დასაფლავების გარდა? თვითონ მღვდელი ამბობს, რომ ქართულს სახელებს ვავრცელებ მონათვლის დროს ხალხშიო, მაგრამ განა ესა კმარა? სულიერი მოძღვრება განა სახელების დარქმევით და „უფალო შეგვიწყალე“-ს თქმით განისაზღვრება? (ნეტავი ეკლესიაში პატარა როგორმე ხეირიანი „უფალო წეგვიწყალე“-ს გალობა მაინც იყოს შემოღებული,—ჩვიდმეტი წელიწადია რაც ეს მღვდელი აქ იმყოფება. ნეტავი გალობაში დახელოვნებული ქართველი მასწავლებლები მაინც არ იმყოფებოდნენ კავკავში!). ვინ უნდა შეაგნებინოს ხალხს სწავლის საჭიროება თუ არა უპირველეს ყოვლისა მღვდელმა, რომელიც მარადჟამს ხალხთან არის, ხალხს უწირავს სახლში, გარეთ თუ ეკლესიაში.

თუ არყით ლოთობაა აქ ასე საშინლად გავრცელებული ქართველობაში და ხალხი ოსურ არაყში იხრჩობს თავსა და თავის უკანასკნელ გროშებსა ჰფლანგავს, ლატაკდება, განა აქაც ყველაზედ ახლო ისევ მღვდელი არა დგას ხალხთან? ან განა ქართული სკოლის საწავლებლები უნდა დაშორებულნი იყვნენ ხალხთან? მაგრამ ესენი ისევე ერიდებიან ხალხს, როგორც ძაღლი ჯოხს ერიდება. საქართველოს რომელ კუთხეში გინდათ, რომ კოოპერაციების შესახებ არა ლაპარაკობდნენ და ჰხსნიდნენ ამ გვარ დაწესებულებებს. კავკავში ამის შესახებ ფიქრიც კი არავის მოსდის თავში. რამდენი რამე ჩამოაქვთ მთიელებს გასასყიდათ და ვინ იცის როგორ იაფად ჰყიდიან ჩარჩებზედ ყოველივე ამას; სამაგიეროდ, რა მამა-სისხლის ფასში ჰყიდულობენ ოჯახისათვის აუცილებელს საჭიროებას და იყვლიფებიან ეს უბედურები! ვინ არის მათი გულის შემატკივარი, მათ უმწეო მდგომარეობის შესახებ მზრუნავი? სად არის ინტელიგენცია, მასწავლებელი და გამძღოლი?

**მ. შალამბერიძე.**

P. S. ეს წერილი უკვე დამთავრებული მქონდა, როცა გავიგე: ბალაშვილს თავისი ჯგუფით კავკავში ერთ-ერთი კლუბის დარბაზი დაუქირავებია და იქ აპირებს წარმოდგენების მართვასო. დიახაც არ ვარგა სხვაგან წარმოდგენების მართვა, როდესაც საკუთარი ქართული თეატრი თავისუფალია. მაგრამ რა ჰქნას ბალაშვილმა, როდესაც მას ამ თეატრს არ აძლევენ და წარმოდგენების მართვის დროს ხელს უშლიან. ყოველივე დაბრკოლების მიუხედავად სასურველია, რომ ბ-ნი ბალაშვილი თავის წარმოდგენების მართვას ისევ ქართულ თეატრში მოაწყობდეს.

**მ. შ.**

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა ფოთის ქალაქის გამგეობას, რომ საბჭოს პირველივე კრებაზე აღძრან საკითხი ქალაქის თავის არჩევის შესახებ.

— ქუთაისის სხვილმა ვაჭრებმა ამ დღეებში მიიღეს რამოდენიმე ვაგონი შაქარი, მათ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანეს, რითაც მოითხოვენ ნება დართონ გირვანქა შაქარი 23 კაპ. მაგივრად გაყიდონ ხუთ შაურად. ამას იმით ასაბუთებენ, რომ შაქრის მოტანა ძვირად დაგვიჯდაო.

— ქუთაისის მეპურეებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს, რათა განკარგულება მოახდინოს პურის ნიხრის მომატების შესახებ.

— ქ. შ. წ.-კ. გ. ქუთაისის განყოფილებას, შესწირეს ათი-ათასი მან. ღირებული მამული.

— ქუთაისში დაარსდა წიგნების საგამომცემლო ამხანაგობა, რომელიც გამოსცემს წიგნებს „პროლეტარის“ ბიბლიოთეკის სახელობაზე.

**ბაკურციხე.**

30 იანვარს მოხდა სოფელ ბაკურციხის წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრთა წლიური კრება, რომელიც დაარსებულია განსვენებულ გიორგი წერეთლის სახელობაზე. კრებას დაესწრო 21 წევრთაგან 15 წევრი. გამოირკვა რომ სამკითხველოს შემოსავალი ჰქონია ერთი წლის განმავლობაში 171 მან. გასავალი 66 მან. კრებამ ანგარიში დაამტკიცა და მადლობაც გამოუცხადა გამგეობის წევრებს.

**ლაილაში.**

აქაური ვაჭრები შემთხვევით სარგებლობენ და გასაოცარ მოხერხებით ტყავს აძრობენ ისედაც დაჩაგრულ ხალხს. განიზრახეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

**თელავის მაზრა**

სოფელ ყვარელში ნაბიჭვრიშვილის დუქანი გასტეხეს და გაიტაცეს 400 მანეთის სხვა და სხვა საქონელი.

**ფ ო თ ი**

რამდენიმე დღეა აქეთ წვიმს და ცივი ამინდია, გუშინ ცოტა თოვლიც მოვიდა.

სანოვაგე სრულიად არ არის. იყო ბლომად ფქვილი და ისიც გამოლეულა, როგორც აგენტები ამბობენ.

**ზუგდიდი**

11 თებერვალ, საქ. საზ. განყოფილების გამგეობას კრება აქვს, რომელზედაც გაარჩევს მთელ მასალას დაზარალებულთა შესახებ.

**სურამი**

აქაურ მოწინავე პირებმა თბ. გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს, ნება დართოს დაბა სურამში დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „შრომა“.

**გორის მაზრა**

ს. ჩობისხევიდან ს. ლაბერისაკენ მომავალ გზაზე ტყეში მოჰკლეს და გაძარცვეს ებრაელი ბინკმონ ალელიშვილი.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

„გაზ. „კასპი“-ს სთხოვენ დასტამბონ შემდეგი: „თავრიზში კავკასიის მაჰმადიანთა თაოსნობით შეკრებული იქმნა ყულაბებით ფული რომელიც გადაეცა ბათომის და ყარსის მხარეს ომისაგან დაზარალებულ მაჰმადიანებს. შეკრებილი ფული ათას მანეთს აღემატება“.

— იგდირიდან გაზ. „კასპი“-ს სწერენ: ერევნიდან მომხმარებელი საზოგადოება გვთხოვს, გვაცნობეთ მაჰმადიანების მდგომარეობა კავკასიის ასპარეზე, რათა მივიღოთ ზომები სურსათისა და თბილ ტანისამოსის შესაძენადაო.

— ბაქოს მომხმარებელმა საზოგადოებამ სხვა და სხვა კუთხეებში 3 ვაგონი ფქვილი გაუგზავნა.

## სომეხთა ცხოვრება

ბათომიდან „ჰორიზონ“-ს ატყობინებენ, ამ დღეებში არხავეს რაიონიდან მოიყვანეს ხუთმეტი მაჰმადიანი სომეხი.

— სომხურ ცენტრალურმა კომიტეტმა, თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, დაეხმაროს აზრუმის მხარეში დარჩენილ სომხებს, მოაგროვოს ისინი და მისცეს მათ თბილი ტანისამოსი და სურსათი.

— თავრიზიდან „მშაკ“ ატყობინებენ, სომხების ახალ თეატრში გაიმართა წარმოდგენა სპარსულ სკოლის „რუშდიეს“ სასარგებლოდაო. წარმოდგენიდან მთელი შემოსავალი ოთხას თუმანს აღემატებოდა.

— ბათომიდან „მშაკ“-ს ატყობინებენ, ამას წინად გარდაცვალებულის ჩილინგარიანის შვილებმა, დედის სახელის აღსანიშნავად, საქველმოქმედო მიზნით დიდი თანხა გადასდეს: 700 თუმანი ადგილობრივი სომხური საეკლესიო სკოლის სასარგებლოდ. დიდი ფული გადასცეს აგრეთვე კათალიკოსს სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებისთვის.

## ჩვენი ფოსტა

**ბაქო.** შალვა გომართელს. ცნობებისთვის დიდად გმადლობთ. კვლავ მოგვაწოდეთ, ჩვენთვის საგულისხმოა. სამწუხაროდ, ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, გაზეთში ვერ მოვათავსებთ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | . | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 | ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 | „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 | „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 | „ 42 | „ | „ |
| იორიდან . . . | 11 | „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 | „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 | „ 15 | | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 | „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 | „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 | „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 | „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 | „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 | „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 | „ 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 | ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 | „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 | „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 | „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 | „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 | „ 15 | „ | „ |
| იორიდან . . . | 2 | „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 | „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 | „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 | „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 | „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 | ს. 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 | „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 | „ 16 | „ | „ |

**მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა**

# ვიკინა-ფშაველის

**პოემათა და ლექსთა კრებული**—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.

**ღირება ათ შაურად.**

**ხელის მოწერა შეიძლება**—თბილისში: „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში; ალ. შარიკაძესთან—ტრამვაის მოსამსახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. თელავში—**ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; თიონეთში—**ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. ცინცაძესთან; **პეტროგრადში—სტუდ.** ცირგილაძესთან; **ხარკოვში**—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; **დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში—სტუდ. ხაჩიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

## ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგრელოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი“ ხიზილალა**, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.